

UNFPA

სტანდარტული ანგარიში
პროექტის მიმდინარეობის
შესახებ 2012

GEO2R21A

ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის
მხარდაჭერის პროგრამა



ეროვნული
სკრინინგ
ცენტრი



სარჩევი

შესავალი

- I. მიზანი
- II. რესურსები
- III. შედეგები
- IV. ფინანსური შესრულება
- V. მომავალი სამუშაო გეგმა



სტანდარტული ანგარიში პროექტის მსვლელობის შესახებ, 2012 წ
GEO1R21A – მკერდისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

ქვეყანა: საქართველო

ანგარიშის პერიოდი: 1 იანვარი - 31 დეკემბერი, 2012 წ.

პროგრამის კომპონენტი: რეპროდუქციული ჯანმრთელობა

პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი (გამოიყენეთ ATLAS კოდი): GEO2R21A

პროექტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (თანა-დამფინანსებით მიმდინარე

პროექტებისთვის): GEO2R21A / ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის მხარდაჭერის პროგრამა

თანა-დამფინანსებელი დონორ(ებ)ი: თბილისის მუნიციპალიტეტთან არსებული ჯანდაცვის, სოციალური და კულტურული საკითხების დეპარტამენტი, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

შემსრულებელი პარტნიორები: ეროვნული სკრინინგ ცენტრი, UNFPA

ანგარიშვალდებული პროგრამის მენეჯერი / ოფიცერი: ლ. ბაქრაძე, პროგრამის ანალიტიკოსი, UNFPA; ლ. ჯუღელი, პროექტის ეროვნული კონსულტანტი, ეროვნული სკრინინგ ცენტრი / UNFPA

I. შესავალი

თბილისის მუნიციპალიტეტთან არსებულ ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტსა (HSAD) და UNFPA/საქართველოს შორის პარტნიორობა რეპროდუქციული ტრაქტის სიმსივნეების პრევენციისა და ადრეული გამოვლენის მიზნით დაიწყო 2006 წელს თბილისში; მონაცემთა ანალიზსა და დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, 2008 წლის დასაწყისში მოხდა პროექტის დიზაინის ხელახალი შერჩევა ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგზე ფოკუსირებით, რომელიც გათვლილი იყო თბილისის სამიზნე მოსახლეობაზე, ხოლო ამ პროექტის განსახორციელებლად შერჩეული იქნა ეროვნული სკრინინგ ცენტრი. ეს პროექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინტერვენციას, რათა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები უფრო ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობისათვის და იგი საქართველოს პირველი ლედის პატრონაჟით მიმდინარეობს.

ეს ინოვაციური პროექტი ერთ-ერთი პირველია მის მსგავს პროექტებს შორის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, რომელიც მიზნად ისახავს გაზარდოს



ეროვნული
სკრინინგ
ცენტრი

სტანდარტული ანგარიში პროექტის მსვლელობის შესახებ, 2012 წ

GEO1R21A – მკერდისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

რეპროდუქციული სისტემის სიმსივნეების გამოვლენის მაჩვენებელი ადრეულ სტადიებზე, რათა შემცირებული იქნას ამ დაავადებებით გამოწვეული ქალთა ნაადრევი სიკვდილიანობა; ამ მიზნის მიღწევას პროექტი გეგმავს ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ სერვისებისადმი სამიზნე ასაკის ქალთა თანაბარუფლებიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით და ამავე დროს, პროგრამის მენეჯმენტის, სერვისების მიწოდების, მონიტორინგისა და შეფასების და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების შენარჩუნებით.

პროექტის მნიშვნელოვანმა წარმატებამ, რამაც ხელი შეუწყო ქალთა ავადობის და სიკვდილიანობის შემცირებას, სახელმწიფო მთავრობას 2009 წელს მიაღებინა პროექტის განმეორებით ჩატარების გადაწყვეტილება ეროვნულ დონეზე - 2010 წელს, ძუძუს კიბოს სკრინინგის პროგრამა ამოქმედდა საქართველოს ოთხ რეგიონში; 2011 წლის ივლისიდან კიბოს სკრინინგ პროგრამა სრული მასშტაბით (ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტალური კიბოს სკრინინგი და პროსტატის კიბოს რისკის მენეჯმენტი) უკვე ხელმისაწვდომია საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრში NCD&PH (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) მოქმედი ეროვნული პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ასევე ახორციელებს ეროვნული სკრინინგ ცენტრი.

II. მიზანი

UNDAF შედეგ(ებ): სიღარიბის შემცირება ეკონომიკის სტაბილური ზრდის და ადამიანის განვითარების ხელშეწყობით

UNFPA SP შედეგი U2: ხარისხიანი დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სერვისებისადმი გაზრდილი ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენება

მოსალოდნელი CP შედეგ(ებ):

დაუცველი ჯგუფების უკეთესი ხელმისაწვდომობა ხარისხიანი ჯანდაცვის, განათლებისა და პირველადი სოციალური სერვისებისადმი

მოსალოდნელი CP შედეგი:

1.2: სრულყოფილი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების, ასევე გენდერული ინფორმაციის მიმართ ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, განსაკუთრებული ხაზგასმით ყველაზე მეტად დაუცველ ჯგუფებზე

განმახორციელებელი პარტნიორ(ებ): ეროვნული სკრინინგ ცენტრი, UNFPA

III. რესურსები



IV. შედეგები

პროექტის მენეჯმენტი

პროექტის მენეჯმენტის გუნდი შედგებოდა ეროვნული სკრინინგ ცენტრის დირექტორის, UNFPA-ს მიერ დაქირავებული პროექტის ეროვნული კონსულტანტის, სამედიცინო ეპიდემიოლოგიის ადგილობრივი კონსულტანტის და IT სპეციალისტისაგან; მონიტორინგის ასისტენტი, როგორც ერთობლივი ინსპექციის ჯგუფის წევრი, უზრუნველყოფდა პროექტის განხორციელების ყოველთვიურ მონიტორინგს იმ ქალთა კონტროლის გზით, რომლებმაც გაიარეს სკრინინგი პროექტის ფარგლებში და ატარებდა კლიენტის კმაყოფილების კვლევას. UNFPA-ს ქვეყნის ოფისი საქართველოში უზრუნველყოფდა პროექტის საერთო მენეჯერულ და ტექნიკურ დახმარებას.

პროექტის შესრულების მიმდინარე სტატუსთან გაცნობის, პროექტის მიმდინარეობისა და არსებული პრობლემების განხილვის და მომავალ ნაბიჯებზე შეთანხმების მიზნით UNFPA ატარებდა პროექტის ხელმძღვანელთა კომიტეტის რეგულარულ შეხვედრებს, რომელიც შედგებოდა საქართველოს პირველი ლედის, პროექტის დონორის, მენეჯმენტის გუნდისა და შემსრულებელი პარტნიორებისაგან; ამის გარდა, პროექტის შესრულების სტატუსი რამოდენიმეჯერ იქნა განხილული რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული საბჭოს შეხვედრებზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ პროგრამის მენეჯმენტისა და განხორციელებისთვის ეროვნული შესაძლებლობების შექმნა

UNFPA-ს ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო და არის ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის სტრატეგიული დაგეგმარების, კლინიკური მენეჯმენტის, განხორციელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის გაძლიერების მიზნით ეროვნული შესაძლებლობების შექმნა ამ მხრივ მოცემული ანგარიშის პერიოდში გადადგმულ იქნა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი:

1. 2011 წელს საქართველოს მთავრობამ გააკეთა განცხადება თბილისის ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ პროგრამების გავრცობის შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელიც დაფინანსდებოდა ცენტრალური ბიუჯეტის მიერ და ასევე განაცხადა კოლორექტალური და პროსტატის კიბოს ეროვნული სკრინინგ პროგრამების განხორციელების თაობაზე. ამ გადაწყვეტილების გათვალისწინებით, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (GNCCDC) გაეროს მოსახლეობის საქართველოს ოფისის ხელშეწყობით ევროპის საშვილოსნოს ყელის კიბოს ასოციაციის (ECCA) მიერ მომზადდა ანგარიში, რომელშიც

სტანდარტული ანგარიში პროექტის მსვლელობის შესახებ, 2012 წ

GEO1R21A – მკერდისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

რეკომენდაციები იმ პროგრამების განხორციელების ყველაზე ხარჯთეფექტური სტრატეგიების შესახებ, რომელიც საჭიროა კიბოს სკრინინგის პროგრამების განხორციელების მხრივ მთავრობის მიზნების მისაღწევად.

ამ ანგარიშის პირველადი მიზანი იყო სტრატეგიული გეგმის შემუშავება ეფექტური და ქმედითი კიბოს სკრინინგის პროგრამ(ებ)ის განხორციელებისთვის საქართველოში. ამ პროცესში ყველა მხარე თანხმდება იმაზე, რომ კიბოს სკრინინგის პროგრამები უნდა ხორციელდებოდეს როგორც საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განუყოფელი კომპონენტი, ისე რომ მაქსიმალურად იყოს გაზრდილი კოლატერალური სარგებელი ჯანდაცვის სისტემის დანარჩენი ნაწილისთვის და უზრუნველყოფილი იქნას სკრინინგ პროგრამების დროში სტაბილურობა.

ანგარიშის მოხსენება და მრგვალი მაგიდის გარშემო დისკუსია ჩატარდა 2012 წლის 10 მაისს საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში, რომელსაც დაესწრნენ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, ეროვნული სკრინინგ ცენტრის და ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლები.

- იმისათვის, რომ გაუმჯობესებულიყო ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამის კლინიკური სერვისების ხარისხი და ჩამოყალიბებულიყო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, ეროვნული სკრინინგ ცენტრისა და ევროპის ონკოლოგიის სკოლას (ESO) შორის არსებული პარტნიორობის ფარგლებში, რომელიც დაიწყო 2011 წელს, საქართველოში გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით ჩატარდა მეორე 2-დღიანი ტრენინგი ძუძუს კიბოს სკრინინგისა და დიაგნოსტიკის სპეციფიურ საკითხებზე. ტრენინგი ორგანიზებული იყო ეროვნული სკრინინგ ცენტრის მიერ პრაქტიკოსი რადიოლოგებისა და რადიოგრაფერების, რომლებიც ჩართული იყვნენ თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მიმდინარე ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამაში.



55-მა ადგილობრივმა სამედიცინო პროფესიონალმა თბილისიდან და საქართველოს რეგიონებიდან გაიღრმავა ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოცდილებით, საუკეთესო პრაქტიკითა და თანამედროვე პროტოკოლებითა და სტანდარტებით სკრინინგულ რადიოლოგიაში, რომელიც მათ გაუზიარეს ევროპის ონკოლოგთა სკოლის (ESO) ექსპერტებმა, ექიმმა მ. როსელი დელ ტურკომ და ექიმმა ამბროგეტიმ. ტრენინგი მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ სესიებს ძუძუს კიბოს სკრინინგის რადიოლოგიის

სტანდარტული ანგარიში პროექტის მსვლელობის შესახებ, 2012 წ

GEO1R21A – მკერდისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

სხვადასხვა საკითხებზე. გარდა ტრენინგის სესიისა, ESO-ს ექსპერტებმა 25 რადიოგრაფერს ჩაუტარეს პრაქტიკული ტრენინგი ეროვნული სკრინინგ ცენტრის ვარკეთილის ფილიალში/

3. ზემოთ აღნიშნული პარტნიორობისა და ESO-სთან ერთად 2012 წლისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში ეროვნული სკრინინგ ცენტრის რადიოლოგი დაესწრო რადიოგრაფერებისთვის გამართულ ტრენინგ კურსს კვლევისა და ონკოლოგიური პრევენციის ინსტიტუტში



ფლორენციაში (იტალია), 2012 წლის 3 ივნისიდან 16 ივნისამდე. კურსი მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგს რადიოგრაფიის უნარ-ჩვევებში. კერძოდ, ტრენინგი ძირითადი თემა იყო მამოგრაფიის ჩატარება ევროპული გაიდლაინების მიხედვით ძუძუს კიბოს სკრინინგსა და დიაგნოსტიკაში. ეროვნული სკრინინგ ცენტრის რადიოლოგი, რომელმაც გაიარა ეს ტრენინგი, შემდგომში წარუძღვა უწყვეტ ტრენინგს

ლოკალური რადიოგრაფერებისთვის, რომლებიც ჩართული არიან ეროვნულ სკრინინგ პროგრამაში. ადგილობრივი რადიოგრაფერებისთვის პირველი ორ დღიანი ტრენინგი ჩატარდა 2012 წლის სექტემბერში, ეროვნულ სკრინინგ ცენტრში. რადიოგრაფერები გაეცნენ მთავარ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის მამოგრამების მისაღებად. ეს კურსი ასევე მოიცავდა პრაქტიკულ სესიებს პროფესიული უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, რაც განაპირობებს ოპტიმალური გამოსახულებების მიღებას. რადიოგრაფერების უნარ-ჩვევების უფრო მეტად გასაუმჯობესებლად დაგეგმილია უწყვეტი ტრენინგის სესიები.

გარდა ამისა, 2012 წელს 13 მაისიდან 19 მაისამდე, ESO-ს ექსპერტმა რადიოლოგმა ექიმმა ჯანი საგუატიმ ჩაატარა ერთკვირიანი პრაქტიკული და თეორიული ტრენინგი ძუძუს მსხვილნემსიან ბიოფსიაზე ეროვნული სკრინინგ ცენტრის რადიოლოგებისთვის. მისი ზედამხედველობის ქვეშ, სკრინინგ ცენტრის რადიოლოგებმა შეასრულეს მსხვილნემსიანი ბიოფსია სკრინინგ პროგრამაში მონაწილე ქალებზე. მსხვილნემსიანი ბიოფსიის და სტერეოტაქტიკური ძუძუს ბიოფსიის შესახებ ტრენინგის მეორე რაუნდი



სტანდარტული ანგარიში პროექტის მსვლელობის შესახებ, 2012 წ

GEO1R21A – მკერდისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

დაგეგმილი 2013 წლისთვის.

2013 წლის დასაწყისში დადგინდება იმ საქმიანობათა აქტივობები, რომლებიც ფოკუსირებულია ხარისხის უზრუნველყოფაზე ძუძუს კიბოს სკრინინგ პროგრამაში, რომელიც უნდა განხორციელდეს ESO-სა და საქართველოს სკრინინგ პროგრამას შორის პარტნიორობის ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თბილისის მუნიციპალიტეტის, UNFPA-ს და საქართველოში იტალიის საელჩოს დახმარებით.

- ეროვნული სკრინინგ ცენტრის რადიოლოგმა მონაწილეობა მიიღო ძუძუს კიბოს სკრინინგის ციფრული მამოგრაფიის საერთაშორისო კურსში რადიოლოგებისთვის, რომელიც ჩატარდა ძუძუს კიბოს სკრინინგის ეროვნულ საექსპერტო და ტრენინგ ცენტრში ნეიმეგენში (ჰოლანდია) 2012 წლის 17-დან 21 სექტემბრამდე. კურსში მონაწილეობდნენ ავსტრალიის, ავსტრიის, ბელგიის, ბრაზილიის, დანიის, საქართველოს, საბერძნეთის და ლუქსემბურგის წარმომადგენლები. ტრენინგის მთავარი თემატიკა იყო: ძუძუს კიბოს სკრინინგის ეპიდემიოლოგიური ასპექტები, ძუძუს პოზიციონირება, კორელაციური რადიოლოგია - პათოლოგია, სკრინინგზე აღმოჩენილი ანომალიების შეფასება, პრაქტიკა (ქეისების გარჩევა და გარდამავალი სიმსივნური პროცესის შემთხვევები), ციფრული მამოგრაფიის ფსიქო-ტექნიკური ასპექტები, ძუძუს პათოლოგია. ტრენინგის გავლის შემდეგ რადიოლოგმა გააკეთა მოხსენება და ყველაზე მნიშვნელოვანი მასალები ტრენინგიდან გაუზიარა თავი კოლეგებს, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოს ძუძუს კიბოს სკრინინგის პროგრამაში.
- 2012 წლის მაისსა და სექტემბერში ჩატარდა ორი ერთ-დღიანი სემინარი სკრინინგ პროგრამის მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფაზე, რომელიც გამიზნული იყო ეროვნული სკრინინგ ცენტრის და მათი ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაციების მენეჯერებისთვის, ასევე იმ სამედიცინო დაწესებულებების მენეჯერებისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, რომლებიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს/ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დაფინანსებით ახორციელებენ კიბოს სკრინინგის პროგრამას 2011 წლის დეკემბრიდან.
- 2012 წლის, 4 თებერვალს თბილისში ეროვნულ სკრინინგ ცენტრში შეიკრიბნენ ქართველი და ამერიკელი მედიკოსები, კიბოსგან განკურნებულები, და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები საქართველოში ძუძუს კიბოს ადრეული გამოვლენის და მისგან გადარჩენის შესახებ უკანასკნელი მიღწევების საკითხებზე მრგვალი მაგიდის დისკუსიისთვის. შეხვედრაზე ასევე ჩაეყარა საფუძველი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ძუძუს კიბოს შესახებ ინფორმირებულობის, ადვოკატურის და გავრცელების მე-6 სამიტის საორგანიზაციო საკითხებს, რომელიც უნდა ჩატარდეს საქართველოში 2013 წელს.

მრგვალი მაგიდის შეხვედრაში საქართველოდან მონაწილეობდნენ: ექ. რემა ღვამიჩავა (ეროვნული სკრინინგ ცენტრი), ექ. ლევან ჯულელი (ეროვნული სკრინინგ ცენტრი), ქ-ნი



ეროვნული
საოპორტიონო
ცენტრი

სტანდარტული ანგარიში პროექტის მსვლელობის შესახებ, 2012 წ

GEO1R21A – მკერდისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

თამარ ხომასურიძე (UNFPA), ქ-ნი მაკა მაღლაკელიძე (ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის შავი ზღვის ქვეყნების კოალიცია), ქ-ნი თამარ ჩიტაშვილი (URI), ქ-ნი ნატა ავალიანი (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი), ქ-ნი თინა ბერუჩაშვილი (ეროვნული სკრინინგ ცენტრი), და პაციენტები ძუძუს კიბოთი, ასევე სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები. აშშ-დან მონაწილეობდნენ: ექ. ჯული გრალოუ და ქ-ნი ქსენია კუნი ვაშინგტონის უნივერსიტეტიდან/ფრედ ჰატჩინსონის კიბოს კვლევის ცენტრი/სიეტლის კიბოს ალიანსი, ქ-ნი ელისონ დვალაძე სიეტლში ვაშინგტონის უნივერსიტეტის რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის კვლევების ელისონის ცენტრიდან.

7. იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომელიც ხვდება „ახალგაზრდა ჩანასახში მყოფ“ ეროვნულ სკრინინგ პროგრამას საქართველოში - მონაწილეთა მოზიდვის, სამიზნე მოსახლეობის დაფარვის და სხვა ორგანიზაციული ასპექტების მხრივ - სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული **ეფექტური და ქმედითი ეროვნული სკრინინგ პროგრამების ორგანიზებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე**. ამგვარად, პროექტის ეროვნულ კონსულტანტი მივლინებული იქნა 2-კვირიან ინტენსიურ ტრენინგ კურსში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ეხებოდა კიბოს სკრინინგ პროგრამების პრინციპებს, ორგანიზაციას, შეფასებას, დაგეგმვას და მენეჯმენტს; კურსი ორგანიზებული იყო კიბოს წინააღმდეგ ქმედების ევროპის პარტნიორობის მიერ. პირველი მოდული ჩატარდა ლიონში (საფრანგეთი), 2012 წლის 19-23 დეკემბერს კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოში (IARC). მეორე მოდული ჩატარდება 2013 წლის 11-15 მაისს. მულტიდისციპლინური ტრენინგი მოიცავდა არსებით საკითხებს საშვილოსნოს ყელის, ძუძუს და კოლორექტალური კიბოს სკრინინგის პოპულაციაზე დაფუძნებული პროგრამების დაგეგმვისა და კოორდინაციის შესახებ (1 კვირა) და მონაწილეთა მიერ მოხსენების სახით წარდგენილი მიმდინარე პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტის შესახებ (მე-2 კვირა). ამასთანავე ეროვნული კონსულტანტმა უნდა მოამზადოს მოკლე ანგარიში პოპულაციაზე დაფუძნებულ სკრინინგში მოსახლეობის მოზიდვის პროცესში სირთულეების შესახებ.

კურსის განმავლობაში მიღებული ცოდნა და ინფორმაცია ეროვნულმა კონსულტანტმა გაუზიარა შესაბამის პოლიტიკის განმახორციელებლებს და მთავარ დაინტერესებულ მხარეებს. ამის გარდა, პროექტის ეროვნულმა კონსულტანტმა UNFPA-საქართველოს მთავარ ოფიცერს მიაწოდა სრული ინფორმაცია ტრენინგის ხარისხსზე და შესაბამისობაზე, რათა UNFPA-მ განიხილოს შესაძლო თანამშრომლობა ევროპის წამყვან ინსტიტუტებთან, კერძოდ კი კიბოს წინააღმდეგ ქმედების ევროპის პარტნიორობას, სკრინინგის მენეჯმენტის ევროპული სკოლას და კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოსთან.



მოსახლეობის ქცევის შეცვლაზე მიმართული კომუნიკაციის კამპანია

ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში შესრულებული იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ რეგულარულად უფასოდ ხდებოდა ახალი PSA-ს გადაცემა ეთერში კიბოს სკრინინგ პროგრამის შესახებ
- სკრინინგ პროგრამის შესახებ ინფორმაციის შემცველი ფლემ ბანერები იდებოდა პოპულარულ სოციალურ და სამედიცინო ვებგვერდებზე;
- კიბოს ადრეული გამოვლენისა და ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ პროგრამის სარგებელის შესახებ 10 000 ბროშურა და 10 000 საინფორმაციო ფლაერი დაიბეჭდა და დაურიგდა ქალებს, რომელთაც ჩაიტარეს სკრინინგი და თბილისის მოსახლეობას. გარდა ამისა, სკრინინგ პროგრამის შესახებ საინფორმაციო პოსტერის 100 A1 ფორმატის ასლი და 20 000 სპეციალური კონვერტი დაიბეჭდა და დარიგდა სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებიც მონაწილეობენ ხსენებულ სკრინინგ პროგრამაში.



საანგარიშო პერიოდში ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატისა და მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგისა და ადრეული დიაგნოსტიკის სერვისებით უზრუნველყოფა

სკრინინგ პროგრამის მიზანია მაქსიმალურად გაზარდოს ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის და მსხვილი ნაწლავის კიბოს ადრეული გამოვლენა სამიზნე მოსახლეობაში და შესაბამისად, შეამციროს ამ დაავადებებით გამოწვეული ავადობა და სიკვდილიანობა.

2012 წლის იანვარი-დეკემბრის შუალედში (დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. ცხრილი 1):

- **ძუძუს კიბოს** სკრინინგი ჩაუტარდა თბილისის და თბილისის შემოგარენის მაცხოვრებელ, 40–70 ასაკობრივი ჯგუფის **14,327** ქალს;
- **საშვილოსნოს ყელის** კიბოს სკრინინგი კი თბილისის და თბილისის შემოგარენის მაცხოვრებელ, 25–60 ასაკობრივი ჯგუფის **15,921** ქალს;
- **პროსტატის კიბოს** სკრინინგი ჩაუტარდა 45-70 წლის ასაკობრივი ჯგუფის **4,174**-მა მამაკაცს;
- **მსხვილი ნაწლავის კიბოს** სკრინინგი ჩაუტარდა 50-70 ასაკობრივი ჯგუფის როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის **1,892** პაციენტს

ყოველ კომპონენტის მიმართულებით სკრინინგის შემთხვევათა დაახლოებით 81% ჩატარებული იქნა ეროვნული სკრინინგის ცენტრში, ხოლო დანარჩენი კი ჩატარდა ქვე-კონტრაქტორი სამედიცინო დაწესებულებების მიერ მათ დიაგნოსტიკურ განყოფილებებში.

სტანდარტული ანგარიში პროექტის მსვლელობის შესახებ, 2012 წ

GEO1R21A – მკერდისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

ცხრილი 1. ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატისა და მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგის შემთხვევათა რიცხვი, 2012 წ.

სკრინინგის პროგრამის კომპონენტი	რაოდენობა	პროცენტი
ძუძუს კიბო (მამოგრაფია)	14,327	100%
ეროვნული სკრინინგ ცენტრი (NSC)	12,009	84%
ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი (TMC)	1,259	9%
თბილისის ონკოლოგიური ცენტრი (TCC)	797	6%
თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრი	99	1%
კლინიკა „ავერსი“	163	1%
საშვილოსნოს ყელის კიბო (PAP-ტესტი)	15,921	100%
ეროვნული სკრინინგ ცენტრი (NSC)	13,094	82%
ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი (TMC)	1,057	7%
თბილისის ონკოლოგიური ცენტრი (TCC)	952	6%
თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრი	67	0%
მედ-ინვესტი	50	0%
რეპროდუქციული კლინიკა #12	271	2%
კლინიკური ცენტრი "ვერე XXI"	274	2%
თბილისის #30 პოლიკლინიკა	156	1%
პროსტატის კიბო (PSA)	4,174	100%
ეროვნული სკრინინგ ცენტრი(NSC)	2,916	70%
ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი (TMC)	348	8%
თბილისის ონკოლოგიური ცენტრი (TCC)	87	2%
თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრი	58	1%
რეპროდუქციული კლინიკა #12	45	1%
კლინიკური ცენტრი "ვერე XXI"	665	16%
კლინიკა „ავერსი“	39	1%
თბილისის #30 პოლიკლინიკა	16	0%
კოლორექტალური კიბო (FOBT)	1,892	100%
ეროვნული სკრინინგ ცენტრი (NSC)	1,706	90%
ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი (TMC)	63	3%
თბილისის ონკოლოგიური ცენტრი (TCC)	20	1%
ბალნეოლოგიური ცენტრი	18	1%
რეპროდუქციული კლინიკა #12	85	4%

შემდგომი უფრო დაწვრილებითი ეპიდემიოლოგიური ანალიზი ჩატარებული იქნა ყოველი პროგრამის კომპონენტისთვის. ამ ანალიზის მასშტაბები და შედეგები ყოველი კომპონენტისთვის ცალკე-ცალკე ქვემოთ არის განხილული.

ძუძუს კიბოს სკრინინგი



ეროვნული
საონკოლოგიური
ცენტრი

სტანდარტული ანგარიში პროექტის მსვლელობის შესახებ, 2012 წ

GEO1R21A – მკერდისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

2012 წლის იანვარი-დეკემბრის პერიოდში სკრინინგი ჩაიტარა 40-70 წლამდე ასაკის, თბილისსა და მის შემოგარენში მაცხოვრებელმა სულ 14,327-მა ქალმა. პაციენტებს, რომლებმაც თავად მიმართეს ეროვნულ სკრინინგ ცენტრს და ქვე-კონტრაქტორ სკრინინგის ცენტრებს, როგორცაა: ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, თბილისის ონკოლოგიური ცენტრი, თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრი და კლინიკა „ავერსი“, ჩაუტარდათ საწყისი ფიზიკალური გასინჯვა და მამოგრაფიული გამოკვლევა [ცხრილი 1]. შემდგომი დაწვრილებითი სამედიცინო გამოკვლევები, რომლებიც იქნა ჩატარებული საანგარიშო პერიოდში, განაწილდა შემდეგნაირად: ულტრაბგერითი გამოკვლევა ჩატარდა 4,514 შემთხვევაში (2012 წელს ძუძუს კიბოზე სულ სკრინინგ-გავლილი ქალების 31%), ხოლო ციტოლოგიური კვლევა ჩატარდა 528 შემთხვევაში (2012 წელს ძუძუს კიბოზე სულ სკრინინგ-გავლილი ქალების 3.7%) [ცხრილი 2].

ცხრილი 2. ძუძუს კიბოს სკრინინგი: 2012 წელს განხორციელებული სერვისების სრული რიცხვი და პროცენტულობა

გამოკვლევის ტიპი	რაოდენობა	პროცენტი (%)
ფიზიკალური გამოკვლევა	14,327	100.0%
მამოგრაფია	14,327	100.0%
ულტრაბგერა	4,514	31.5%
ციტოლოგია	528	3.7%

შედეგების ანალიზის მიხედვით, 14,327 მამოგრაფიული სურათიდან 3,284 (22.9%) ჩაითვალა პათოლოგიად [ცხრილი 3]. შედეგები დაჯგუფდა აბნორმულ (პათოლოგია) და ნორმალურ ჯგუფებად, BIRAD სისტემის მიხედვით; BIRAD 3, 4, ან 5-ის მქონე შედეგები იქნა კოდირებული როგორც პათოლოგია. გარდა ამისა, 4,514 ჩატარებული ულტრაბგერითი გამოკვლევიდან 1,368 (30.3%) ჩაითვალა პათოლოგიად, ხოლო 528 ჩატარებული ციტოლოგიური კვლევიდან 443 (83.9%) შეფასდა როგორც „კეთილთვისებიანი“, „ატიპიური“, „საექვო ავთვისებიანობაზე“ ანდა „ავთვისებიანი“ (ციტოლოგიური კვლევის დეტალური შედეგებისთვის იხილეთ ცხრილი 4). წინა წლებთან შედარებით მამოგრაფიული და ულტრაბგერითი კვლევებით იდენტიფიცირებული პათოლოგიების წილი შემცირდა თითქმის 50%-ით. თუმცა ეს უკანასკნელი მხოლოდ დაკვირვების შედეგია და საჭიროებს უფრო ღრმა ანალიზსა და კვლევას.

ცხრილი 3. ძუძუს კიბოს სკრინინგი: თითოეული სადიაგნოსტიკო მეთოდით დადგენილი ანომალიები და მათი განაწილება, 2012 წ.

გამოკვლევის ტიპი	პათოლოგია/სულ (N)	განაწილება (%)	(%) მთლიანიდან
მამოგრაფია	3,284/14,327	22.9%	22.9%
ულტრაბგერა	1,368/4,514	30.3%	9.5%
ციტოლოგია	443/528	83.9%	3.1%

443 ქალიდან, რომელთაც დაუდგინდათ პათოლოგია ძუძუს ციტოლოგიური კვლევის შედეგებში, 101 (20.7%) მათგანს აღმოაჩნდა ავთვისებიანი ძუძუს კიბო, 36 (7.4%) იყო საექვო



სტანდარტული ანგარიში პროექტის მსვლელობის შესახებ, 2012 წ

GEO1R21A – მკერდისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

ავთვისებიანობაზე, 23 (4.7%) - ატიპიური/არადიფერენცირებული, 283 (57.9%) კი - კეთილთვისებიანი ტიპი; გარდა ამისა, 46 მათგანი (9.4%) ჩაითვალა როგორც არაადექვატური (გამოუსადეგარი) ნიმუში ანალიზის ჩატარებისთვის [ცხრილი 4].

ცხრილი 4. ძუძუს კიბოს სკრინინგის ციტოლოგიური შედეგები, 2012 წ.*

ციტოლოგიის შედეგები	N	%
არაადექვატური	46	9,4%
კეთილთვისებიანი	283	57,9%
ატიპიური/არადიფერენცირებული	23	4,7%
ეჭვი ავთვისებიანობაზე	36	7,4%
ავთვისებიანი	101	20,7%
სულ	489	100,0%

*შენიშვნა ცხრილი 4-ისთვის: ციტოლოგიური კვლევის შედეგები 39 შემთხვევისთვის ჯერ ისევ მიუწვდომელია


თბილისში ძუძუს სკრინინგის პროგრამიდან სულ 655 ქალი საეჭვო ავთვისებიან სიმსივნეზე გადაიგზავნა სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში შემდგომი კვლევისა და მკურნალობისთვის შემფასებელი გუნდის მიერ, რომელიც შედგებოდა რადიოლოგის, პათანატომი/ციტოლოგის და ძუძუს ქირურგისგან [ცხრილი 5]. გაიდლაინის მიხედვით, შემფასებელი გუნდი რეკომენდაციას იძლევა პაციენტი გადაიგზავნოს სპეციალიზებულ კლინიკაში პათოლოგიური ციტოლოგიის, მამოგრაფიის და ულტრაბგერითი კვლევის შედეგების შემთხვევაში, მკვლევარის კლინიკური მოსაზრების საფუძველზე.

ცხრილი 5. თბილისის სკრინინგ პროგრამიდან სპეციალიზებულ ძუძუს ონკოლოგიურ კლინიკებში მიმართვიანობა, 2012 წ.

დაწესებულება	პაციენტების მომართვის რიცხვი	% მთლიანიდან (N=14,327)
ეროვნული სკრინინგ ცენტრი (NSC)	452	3.2%
ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი (TMC)	47	0.3%
თბილისის ონკოლოგიური ცენტრი (TCC)	156	1.1%
სულ	655	4.7%

ყოველი გადამისამართებული პაციენტის საკონტროლო ინფორმაცია მათი მკურნალობის გამოსავლის შესახებ ამჟამად იკრიბება და ხელმისაწვდომი იქნება 2013 წლის მარტის ბოლოსთვის. 2012 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში მიღებული წინასწარი შედეგების მიხედვით, 94 შეფასებული პაციენტიდან 16-ს (17%) პოსტოპერაციული ბიოფსიის დიაგნოზით დაუდგინდა კეთილთვისებიანი ძუძუს კიბო; ძუძუს კიბოს შემთხვევების 81% დადგენილი იქნა I-II სტადიაზე სკრინინგის პროგრამის ფარგლებში [სურათი 1].

სურათი 1. ძუძუს კიბოს სტადიები (წინასწარი მონაცემები, იანვარი - ივნისი, 2012)



ძუძუს კიბოს სკრინინგის მეორე რაუნდი (ხელმეორე მოწვევა) დაიწყო 2010 წელს. 2012 წელს სულ 14,327 პაციენტიდან 2,792 ქალს ჩაუტარდა ძუძუს კიბოს სკრინინგის მე-2 რაუნდი [ცხრილი 6], რაც შეადგენს 2010 წელს სკრინინგ-გავლილი ძირითადი მდებდრობითი სქესის მოსახლეობის 16%-ს (2010 წელს ძუძუს კიბოს სკრინინგი ჩაუტარდა 17,141 ქალს).

ცხრილი 6. ძუძუს კიბოს სკრინინგი, მე-2 რაუნდი, 2012*

სკრინინგი II	მამოგრაფია	ულტრაბგერა
ეროვნული სკრინინგ ცენტრი - დიდუბე	972	504
ეროვნული სკრინინგ ცენტრი - ვარკეთილი	1,820	469
ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი	204	41
სულ	2,996	1014

*შენიშვნა ცხრილ 6-ში: მე-2 რაუნდის სკრინინგის მონაცემები ჯერ არ არის მოწოდებული სხვა ქვე-კონტრაქტორების მიერ

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი

2012 წლის იანვარი-დეკემბრის განმავლობაში 25-60 წ. ასაკის თბილისსა და მის შემოგარენში მაცხოვრებელ 15,921 ქალს ჩაუტარდა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი ზემოთხსენებული სკრინინგ პროგრამის ფარგლებში. თვითმომართვით მოსულ პაციენტებს, რომლებმაც მიმართეს ეროვნულ სკრინინგ ცენტრს და სხვა ქვე-კონტრაქტორ სკრინინგის განყოფილებებს, როგორცაა: ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, თბილისის ონკოლოგიური ცენტრი, თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრი, მედ-ინვესტი, რეპროდუქციული კლინიკა #12, კლინიკური ცენტრი „ვერე XXI“ და თბილისის #30 პოლიკლინიკა, ჩაუტარდათ სკრინინგი ნაცხით PAP-ტესტის გამოყენებით [ცხრილი 1]. უფრო დაწვრილებითი სამედიცინო გამოკვლევები, რომლებიც

სტანდარტული ანგარიში პროექტის მსვლელობის შესახებ, 2012 წ

GEO1R21A – მკერდისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

ჩატარდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ნაწილდება შემდეგნაირად: 2,701 (17%) და 268 (1.7%) ქალმა ჩაიტარა კოლპოსკოპიური გამოკვლევა და ბიოფსია, შესაბამისად [ცხრილი 7].

ცხრილი 7. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი: ჩატარებული გამოკვლევების მთლიანი რაოდენობა და პროცენტულობა, 2012 წ.

გამოკვლევის ტიპი	რაოდენობა	პროცენტი (%)
PAP ნაცხის ტესტი	15,921	100,0%
კოლპოსკოპია	2,701	17,0%
ბიოფსია	268	1,7%

2012 წელს ჩატარებული 15,921 PAP-ტესტიდან 88% შეფასდა როგორც ნორმალური და 1,909 (12%) - როგორც ატიპიური შედეგი. შედეგები განაწილდა შემდეგნაირად: 1,112 (58.3%) - ატიპიური უჯრედები გაურკვეველი მნიშვნელობით (ASCUS), 82 (4.3%) - ატიპიური სქვამოზური უჯრედები - ვერ გამოიციხავს HSIL-ს (ASC-H), 560 (29.3%) - დაბალდიფერენცირებული სქვამოზური ინტრაეპითელური დაზიანება (LSIL), 138 (7.2%) - მაღალდიფერენცირებული სქვამოზური ინტრაეპითელური დაზიანება (HSIL), 9 (0.5%) - ატიპიური ჯირკვლოვანი უჯრედები გაურკვეველი მნიშვნელობით ან ატიპიური ჯირკვლოვანი უჯრედები (AGUS/AGC) და 8 (0.4%) - შეფასდა როგორც კარცინომა [ცხრილი 8]. ქალებს PAP-ტესტზე პათოლოგიური შედეგებით გაეწიათ რეკომენდაცია PAP-ტესტის განმეორებით ჩატარებაზე 6-12 თვის შემდეგ.

ცხრილი 8. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი: ციტოლოგიის შედეგები PAP-ტესტით, 2012წ

ატიპიური PAP ტესტი	რაოდენობა	პათოლოგიური PAP ტესტის შედეგების განაწილება (%) (N=1,771)	(%) პათოლოგიური PAP ტესტის შედეგები სულ სკრინინგ-გაველილ პაციენტებში (N=15,921)
ASCUS	1,112	58,3%	7,0%
ASC-H	82	4,3%	0,5%
LSIL	560	29,3%	3,5%
HSIL	138	7,2%	0,9%
AGUS/AGC	9	0,5%	0,1%
კარცინომა	8	0,4%	0,1%
სულ	1,909	100,0%	12,0%

თბილისის სკრინინგ პროგრამის ფარგლებში კოლპოსკოპიური გამოკვლევები ტარდება შემდეგი ჩვენებების მიხედვით: პათოლოგიური PAP-ტესტის შედეგი, გინეკოლოგის რეკომენდაცია და საკონტროლო ვიზიტი ნორმალური PAP-ტესტით (კონტროლი ნორმის დროს). 2012 წელს ჩატარდა 1,580 კოლპოსკოპიური გამოკვლევა ატიპიური PAP-ტესტის შედეგის გამო, 716 - გინეკოლოგის რეკომენდაციაზე დაფუძნებით და 337 - ნორმის დროს კონტროლისთვის.

სტანდარტული ანგარიში პროექტის მსვლელობის შესახებ, 2012 წ
 GEO1R21A – მკერდისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა

ცხრილი 9. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი: კოლპოსკოპიის ჩვენებების განაწილება, 2012

კოლპოსკოპიის ჩვენება	რაოდენობა	%
ატიპიური PAP ტესტი	1,580	58,5%
გინეკოლოგის რეკომენდაცია	716	26,5%
კონტროლი ნორმის დროს	337	12,5%
სულ	2,633	100%

*თბილისის ონკოლოგიურმა ცენტრმა არ მოგვაწოდა კოლპოსკოპიის ჩვენების მონაცემები 68 კოლპოსკოპიური გამოკვლევისთვის

კოლპოსკოპიური გამოკვლევის შედეგები ქალებში ატიპიური PAP-ტესტით ნაწილდება შემდეგნაირად: შემთხვევათა 37%-ში კოლპოსკოპიის შედეგები იყო ნორმალური, 21.1%-ში - არაადექვატურად ჩატარებული კოლპოსკოპია, 33%-ში - CIN₁, 6.9%-ში - CIN_{2,3} და 1.8%-ში - ინვაზიური კიბო, კოლპოსკოპიურ კვლევაზე დაფუძნებით. PAP-ტესტის შედეგებით კოლპოსკოპიური გამოკვლევის შედეგების დეტალური ანალიზი მოცემულია ცხრილ 10-ში.

ცხრილი 10. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი: კოლპოსკოპიური გამოკვლევის შედეგები ქალებში ატიპიური PAP-ტესტით, 2012 წ.

ჰისტოლოგია / კოლპოსკოპიის დიაგნოზი	სულ N	ნორმა		არაადექვატური კოლპოსკოპია		CIN1		CIN2,3		ინვაზიური კიბო	
		რიცხვი	%	რიცხვი	%	რიცხვი	%	რიცხვი	%	რიცხვი	%
ASCUS	937	416	44,4%	240	25,6%	262	28,0%	17	1,8%	2	0,2%
ASC-H	77	12	15,6%	26	33,8%	23	29,9%	11	14,3%	5	6,5%
LSIL	434	150	34,6%	48	11,1%	222	51,2%	12	2,8%	2	0,5%
HSIL	119	5	4,2%	18	15,1%	12	10,1%	69	58,0%	15	12,6%
AGUS/AGS	9	4	44,4%	2	22,2%	3	33,3%	0	0,0%	0	0,0%
კარცინომა	4	0	0,0%	0	0,0%	0	0,0%	0	0,0%	4	100,0%
სულ	1580	587	37,2%	334	21,1%	522	33,0%	109	6,9%	28	1,8%

ბიოფსიის შედეგები ნაწილდება როგორც ეს მოცემულია ცხრილ 11-ში.

